ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 28
(11 485)

10 – 12 აპრილი, 2001 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## მარჯვ საქართველოს!

# ლელოს შვილებმა – ქართველმა მორაგბეებმა, ხარების დღეს, „ევროპის ერთა თასის“ მოპოვება ახარეს დედასაქართველოს!

3

## ჩემპიონები, რომელთა გულშემატკივრობაც ნამდვილად ღირს!

ლაპარაკი, გნებავთ, დავა იმაზე, რომელი სისტემა სჯობს, წრიული თუ ოლიმპიური, ამჯერად არა ღირს. ბოლოს და ბოლოს, ნამდვილი ტალანტი ერთშიც გაიკვლევს გზას და მეორეშიც...

საქართველოს ჩემპიონატმა ვაჟთა შორის, რომელიც პირველად ჩატარდა ოლიმპიური სისტემით, ნამდვილად ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი. რა ვუყოთ, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო არ თამაშობდნენ ზურაბ აზმაიფარაშვილი, გია გიორგაძე, გიგა ყაჭეიშვილი. ნებისმიერ ტურნირს

8

## სფფ ფეარ-ფლეის პრინციპების ერთგულია

Fair Play
The name of the game

FIFA FAIR PLAY

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა ჩემპიონატის გაჯანსაღების კვალობაზე უფრო მეტი ყურადღება მიაქციას ე.წ. სამართლიან თამაშს – ფეარ-ფლეის. მოგეხსენებათ, მსოფლიო და ევროპის ფეხბურთის ხელმძღვანელები ამ პრინციპების ერთგულები არიან და სპეციალური პრიზებიც კი დააწესეს იმ პიროვნებებისთვის, რომლებიც თავიანთი საქციელით პატიოსნებას, სამართლიანობას, ვაჟკაცობას და მეტოქისადმი პატივისცემას გამოამჟღავნებენ. ამიერიდან სპეციალური შეფასებებით აღირიცხება ამ რანგში თავგამოჩენილ ადამიანთა დამსახურება და სეზონის ბოლოს სპეციალური პრიზით დაჯილდოვდებიან ფეარ-ფლეის შემდეგი ლაურეატები:

1. ფეხბურთელი 2. მწვრთნელი 3. მსაჯი 4. გუნდი 5. გულშემატკივარი (ფან კლუბი).

სფფ იმედს იტოვებს, რომ ამგვარი შემთხვევები საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თუ ნაკრების მატჩებში მრავლად იქნება, რაც საერთო ჯამში ისევ ქართული ფეხბურთის კეთილდღეობას წაადგება.

მამუკა კვარაცხელია, სფფ-ს პრეს-ატაშე

## განცხადება

პარასკევს, 13 აპრილს, 12 საათზე, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ჩატარდება სფფ-ს აღმასკომის მე-12 სხდომა. განიხილება ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებთან მუშაობის საკითხები.

## მილოცვა

**ჩვენო ძვირფასო, ლომგულო მორაგბეებო!**

გულწრფელად გილოცავთ ბრწყინვალე წარმატებას. თქვენი ვაჟკაცური თამაშით ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შთამბეჭდავად უჩვენეთ თუ როგორ უნდა თავდადებული ბრძოლა მიზნის მისაღწევად. ასე წინ გევლოთ მუდამ. ულრმესი მადლობა დიდი სიხარულისთვის.

მერაბ ჟორდანია,
სფფ-ს პრეზიდენტი

### საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## მარნეულის ქართულ სკოლებში მასწავლებლად თბილისიდან არ მიდიან, ფეხბურთის და საქართველოს სიყვარულით გულანთებული ბიჭები – წავიდნენ!

იხ. მე-4 გვ.

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო




4



## მოკრივე გრძნობაზე მოუსვლელად გარდაიცვალა...

7

## ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები



6

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### ხავიერ კლემენტე „ოლიმპიკიდან“ დაითხოვეს

საფრანგეთის ამ საფეხბურთო კლუბის სპორტულ დირექტორად ბერნარ ტაპის მოსვლის შემდეგ ენერგიული რეორგანიზაცია დაიწყო. პირველი რისხვა თავს დაატყდა გუნდის თავკაცს, ესპანეთის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს ხავიერ კლემენტეს. გუშინ საღამოს იგი თანამდებობიდან გადააყენეს. სეზონს „ოლიმპიკში“ ხორვატი ვეტერანი მწვრთნელი ტომისლავ ივიჩი დაასრულებს.

### ბოლონი ბრძოლას იწყებს

**რუმინეთის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელმა ლადისლაუ ბოლონიმ სასტიკად გაილაშქრა ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში „ჩაწყობილი“ მატჩების წინააღმდეგ: „ნებისმიერი მოთამაშე, რომელიც შეიმჩნევა ამგვარ დანაშაულში, მოიკვეთება ნებისმიერი ნაკრებიდან, მიუხედავად დამსახურებისა“ — აცხადებს ბოლონი.**

### სოლიდარული კენიელები

ვაშინგტონის შემოგარენში ჩატარდა ტრადიციული საერთაშორისო გარბენი, რომელშიაც 7 ათასამდე მძლეოსანი მონაწილეობდა. ფინიშამდე მიაღწია 6,5 ათასზე მეტმა მორბენალმა. ვაჟთა შორის გაიმარჯვეს კენიელებმა — ხუთმა სპორტსმენმა ერთდროულად დაამთავრა დისტანცია და I-V ადგილები თანაბრად გაინაწილეს. ქალთა შორის პირველი იყო 27 წლის სამხრეთ აფრიკელი ელენე მაიერი.

### ავსტრალიელების რეკორდი

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში რეკორდი დამყარდა — ავსტრალიელებმა ტონგას ნაკრებს მოუგეს... 22-0.

● *ამერიკული სამოა* — **სამოა 0-8.**



**სლოვაკმა ჩოგბურთელმა გენრიეტა ნადიოვამ (სურათზე) მოიგო ვესტ-პალმას (აშშ) დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია. ფინალში ნადიოვამ სძლია შვედ ასა კარლსონს — 3:6, 6:3, 6-1.**

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 4 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 9 თვე და 28 დღე გააშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

# ზამთრის ოლიმპიადისთვის რუსეთი სახსრებს არ ზოგავს

თეთრი ოლიმპიადისათვის მზადების დასკვნით ეტაპზე რუსეთი 90 მილიონ რუბლს და 2,6 მილიონ დოლარს მოახმარს ნაკრებ გუნდს. ამ თანხაში არ შედის საპრიზო ფონდი, რომელსაც I, II და III ადგილებზე გასულები მიიღებენ – შესაბამისად, 50, 20 და 10 ათასი დოლარი. ოლიმპიადისთვის მზადების საორგანიზაციო კომიტეტს სათავეში ჩაუდგა ვლადიმერ პუტინი. ჯერჯერობით კონკრეტული მედლების რაოდენობა არ იგეგმება.

ძირითად პრობლემად მიიჩნევა აკლიმატიზაცია. ცნობილია, რომ ზამთრის ოლიმპიადა პირველად ჩატარდება 1700 მ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ამიტომ გადაწყდა, რუსეთის სპორტსმენებმა მთელი დასკვნითი პერიოდი თვით თამაშების ეპიცენტრში, სოლტ-ლეიკ – სიტში გაატარონ.

აფსუს, ბაკურიანი!

# აზრიდან — საქმეზე!
## შეიქმნება „სპორტის მეგობართა კავშირი"

ასეთი ორგანიზაციის შექმნის იდეა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა წამოაყენა და პირველი ნაბიჯიც გადაიდგა — ორგანიზაციებს, ფირმებს და კომპანიებს, ცალკეულ პირო/ ებებს, დაეგზავნათ წერილები კავშირში გაწევრიანების თხოვნით და წესდების პროექტით.

ახალმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, რომლის სამართლებრივი ფორმაა „რეგისტრირებული კავშირი", ხელი უნდა შეუწყოს ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში არსებული კატასტროფული მდგომარეობის დაძლევას, მატერიალურ-სპორტული ბაზის განმტკიცებას, სპორტსმენთა სოციალური პირობების დაცვას, ინვალიდ სპორტსმენთა და სპორტის ვეტერანთა დახმარებას და ა.შ.

## ფიტას რეიტინგით

საქართველოს სროლის სახეობათა და მშვილდოსნობის ფედერაციამ ლოზანიდან (შვეიცარია) მიიღო მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (ფიტა) მორიგი საინფორმაციო ბიულეტენი, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად, გამოქვეყნებულია მსოფლიოს 21 ქვეყნის 50 წარჩინებული სპორტსმენის სია.

საამაყოა, რომ რეიტინგში ვხვდებით ჩვენი რესპუბლიკის ორ წარმომადგენელს — ხათუნა ფუტკარაძეს (ბათუმი) და ხათუნა ქვრივიშვილს (თბილისი). აჭარელ მშვილდოსანს გასული წლის განმავლობაში დაგროვებული აქვს 104.000 ქულა და იგი მსოფლიოში მე-13 ადგილზეა, ხოლო ხათუნა ქვრივიშვილს, რომელსაც უფლება აქვს მიმდინარე წლის შემოდგომამდე საქართველოს სახელით იასპარეზოს (იგი ამჟამად აშშ-ის ნიუ-ჯერსის შტატშია), მოპოვებული აქვს 82.650 ქულა და 24-ე ადგილზეა. რაც შეეხება მესამე მშვილდოსანს — ნატო ნასარიძეს, რომელიც აგერ უკვე მეათე წელიწადია საკმაოდ წარმატებით გამოდის თურქეთის სახელით, 124.000 ქულა აქვს და მე-9 პოზიციაზეა. ის ფაქტი, რომ სამი ქართველი მშვილდოსანი მსოფლიოს უძლიერეს ქალთა შორისაა, ქართული სპორტის ამ სახეობაში ჩვენი ეროვნული სკოლის მნიშვნელოვანი მიღწევაა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებიდან რეიტინგლისტში, გარდა საქართველოს მსროლელებისა, შეყვანილია ცხრა ქალი, რუსეთიდან — 1, ყაზახეთიდან — 2, ბელორუსიიდან — 2 და უკრაინიდან — 4. მსოფლიო მშვილდოსნობის პირველი სამეული ასე გამოიყურება: ჰე ინგი (ჩინეთი) — 167.750, ვილიამსონი ალისონი (დიდი ბრიტანეთი — 153.900, კიმ სოო ნიუნგი (სამხრეთ კორეა) — 142.000.

რ. პენ კაცობაშვილი

გამოხმაურება

# დელფინები – უპატრონო ეკლესიაში

თებერვლის დასაწყისში დედაქალაქში ხმა დაირხა უყაირათოდ გაპრივატიზებულ-გაჩუქებულ ვაკის საცურაო აუზში დელფინარიუმი უნდა გაიხსნასო. გაიხარეს ეგზოტიკის მოყვარულებმა. ისე, რომ ვთქვათ, ამ საქმეში ცუდი რა არის. დელფინი გონიერი არსებაა, ადამიანის მეგობარი, თანაც, კარგი და ცუდი კაცის გარჩევა არ იცის. განსაკუთრებით ბავშვები უყვარს. ბავშვების მშობლებს კი ფულის გადახდა. ჯერ კიდევ რომის იმპერატორ ვესპასიანეს დროიდანაა ცნობილი, რომ „ფულს სუნი არა აქვს". იგი ეკოლოგიურად სუფთაა, ვერც მწვანეებს გაალიზიანებს და ვერც მწვანედყოფილებს. ბატონ „კრიშებსაც" მიეცემათ საშუალება გახსნისას კიდევ ერთი ლენტი გაჭრან, ტელევიზიამ ისტორიული კადრი შეინახოს, ინიციატორებმა – ფული.

* * *

... იდგა 1958 წლის ივნისი. ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მესამეკურსელები ერთთვიან სავალდებულო სამხედრო სტაჟირებისათვის ბათუმის ე.წ. „სამხედრო ქალაქში" გამგზავრების წინ, ინსტიტუტის კომკავშირის საგანგებო სხდომაზე გამოვცხადდით. დღის წესრიგიც წინასწარ ვიცოდით, იგი სავალდებულო შრომით სემესტრს შეეხებოდა. ისიც ვიცოდით, რომ ჩვენ, როგორც „სტაჟიორებს" არავინ დაგვასაქმებდა.

კრება ინსტიტუტის რექტორმა ბატონმა საშა ფალავანდიშვილმა გახსნა და ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო. „წელს თბილისში ვრჩებით. იწყება ვაკის საცურაო აუზის მშენებლობა, პარალელურად დავეხმარებით სასტუმრო „საქართველოს" მშენებლობის დამთავრებაში. ძირითადი მაინც საცურაო აუზია. მალე მოცურავეებს, წყალში მხტომელებს, წყალბურთელებს უმაღლესი სტანდარტების საწყლოსნო დახურული ბაზა ექნებათ. შემდეგ სქელი, შავი წარბები შეათამაშა და დაამატა – მესამეკურსელებო, თქვენ ბათუმში ხელმძღვანელად პოლკოვნიკი სლასტიონოვი მოგყვებათ. აბა თქვენ იცით, როგორ გვასახელებთ: ისე, სტაჟირების შემდეგ თუ ვინმეს გაუჩნდება „შრომით სემესტრში" ნებაყოფლობით ჩაბმის სურვილი, კარები ღიაა. დარბაზს სიცილის ტალღამ გადაუარა..."

„სტაჟირება" არც ისე იოლი გამოდგა. პირველ აგვისტოს, როგორც იქნა, უკან დავბრუნდით. სამი-ოთხი დღე სახლიდან არ გამომიხედავს. მერე გამახსენდა აუზი. გადავწყვიტე მეორე დილით წავსულიყავი ახალმშენებლობის სანახავად.

* * *

ხელოვნურად ამოთხრილ უზარმაზარ ქვაბურში მოფუსფუსე ხალხი ზემოდან ჭიანჭველებივით მოჩანდა, სახეების გარჩევა შეუძლებელი იყო – ჩამოდი, რას გადმოგვყურებ ზედამხედველივით, – მომესმა ნაცნობი ხმა. სმენას არ ვუჯერებ, გუშინწინ სამტრედიაში დავტოვე ჩვენი „ცვეტნოი", ნოდარ კაპანაძე. დავეშვი ფიცარზე დაჭედებულ საფეხურებიანი გადაბმული კიბით, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ბონდის ხიდივით ირწეოდა. შუა ადგილზე შევყოვნდი. აქედან კარგად ჩანს ნაცნობი სახეები. ანზორ გვიმრაძეს, უჩა გოშაძეს და ჰამლეტა მეტრეველს ეტყობა ცალკე რაჭული ბრიგადა ჩამოუყალიბებიათ. მცხეთელი ნიჩბოსნები „ნასილკებით" გართულან, ტანმოვარჯიშეები კედელზე ახალ ფიცრებს აკრავენ საბეტონედ. მეგრ..ლებს გობისტოლა ბარ-ნიჩბები მო..მარჯვებიათ და



რაღაც გვირაბი გაჰყავთ. მოკლედ, მთელი კურსი აქ არის, ქართული და რუსული სექტორი, მიუხედავად იმისა, რომ მათ შრომას აქ არავინ აღრიცხავს და აკონტროლებს. უმალვე ჩავები შრომის ფერხულში. მაშინ არ მიფიქრია და მოგვიანებით გავიცნობიერე, რომ ჩამოსული ბიჭები ერთი თვის გაუთვალისწინებელ ბინის ქირასაც არ შეუშინდნენ – დილიდან საღამომდე ისმოდა მხიარული გადაძახილები. ბედნიერები ვიყავით, რომ ვაშენებდით იმედს, ვაშენებდით საქართველოსთვის, თბილისისათვის, ხვალინდელი სპორტული შედეგებისათვის, ვაშენებდით ერთმანეთის სიყვარულით, სულმნათ საშა ფალავანდიშვილის სიყვარულით...

* * *

დელფინარიუმი? ალბათ, კარგია! ან, უფრო სწორად, სარფიანი რამაა. დღეს ხომ მოგება წაგებაზე იზომება კაცობა, ერის სიყვარული...

ყველა უპატრონო ეკლესიას დღეს თუ ხვალ უეჭველად ეშმაკები დაეპატრონებიან.

ვაჟა ნუცუბიძე,
საქართველოს სპორტის დამსახურებული მუ..კი

**რედაქციისაგან:** როგორც ამტკიცებენ, დელფინები იმდენ შემოსავალს მოიტანს, შემდგომში აუზის ამუშავების გრანტი გახდება. ძალიან გვეეჭვება! როცა საქმე საქმეზე მიდგება, უკვე ვგრძნობთ, შემოსავლის სიმცირეზე დაიწუწუნებენ და დაიწყება ახალი მიზეზების ძიება, რათა აუზი როგორმე კვლავ არ ამუშავ..ს

# ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

## ზესტაფონს ჰყავს მკლავღონიერი ბიჭები



70-მა რჩეულმა მკლავჭიდელმა იასპარეზა ზესტაფონის რაიონის ღია პირველობაში, რომელიც რაიონის სპორტკომიტეტისა და ადგილობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციის თაოსნობით ჩატარდა. გაგაცნობთ გამარჯვებულებს: ბონდო არაბიძე (50 კგ), გია გაბუნია (60), დათო გაბუნია (70), პაატა კვანტრიშვილი (80), გიგა ხუსკივაძე (90), ზვიად ხუსკივაძე (100). აბსოლუტურ წონაშიც გია ხუსკივაძემ იმარჯვა. დაკომპლექტდა ნაკრები, რომელიც საქართველოს პირველობაზე დაიცავს რაიონის სპორტულ ღირსებას. შეჯიბრებამ დაადასტურა, რომ მკლავჭიდელთა რაიონული ფედერაცია ნაყოფიერად მუშაობს პრეზიდენტ ავთანდილ დევდარიანის ხელმძღვანელობით.

ბ. აბაშიძე, ლელოს საკ. კორ., ზესტაფონი.

# ლახტის დაბრუნება ზესტაფონში

სპორტის ეროვნული სახეობები და ხალხური თამაშობები ფიზიკური აღზრდის ნაცადი საშუალება, სპორტისათვის კი ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენის საუკეთესო წინაპირობაა. ტრადიციულად, საამისოდ, აუცილებელი სულაც არ არის კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები და ძვირადღირებული ინვენტარი. ეგ კია, ბევრგან ჩვენს ეროვნულ საუნჯეს არ სწყალობენ და ახალგაზრდობა მათ სიკეთეს მოკლებულია, ალარაფერს ვამბობთ ტრადიციების მივიწყებაზე. და აი, სასიხარულო ცნობა ზესტაფონიდან, სადაც რაიონის სპორტკომიტეტმა (თავმჯდომარე გია საყვარელიძე) და განათლების რაიგანყოფილებამ (გამგე ზურაბ კვეტენაძე) რაიონის პირველობა ჩაატარეს ლახტში.

„ძალიან დიდი ინტერესით, ენთუზიაზმით და სიხარულით მიიღეს ზესტაფონელმა ახალგაზრდებმა ჩვენი ძირძველი ეროვნული თამაშობა" — გვწერს „ლელოს" კორესპონდენტი გ. არაბიძე.

როგორც ინფორმაციიდან შევიტყვეთ ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად ფინალში ერთმანეთის პირისპირ დამდგარან ქალაქის №7 (დირექტორი თ. ქურციკიძე, ფ/ა მასწავლებელი ა. ქოჩიაშვილი) და №3 (დირექტორი ა. ბიწაძე, ფ/ა მასწავლებელი გ. გაჩეჩილაძე) საშუალო სკოლების წარმომადგენლები. თავიდან ქამართა დამცველი მეშვიდე სკოლელები ყოფილან, მაგრამ მეტოქეს 18 წამში გაუტანია წრიდან ხუთივე ქამარი და პოზიციები გაცვლილა. ამის შემდეგ, მე-7 სკოლის ბიჭებს 8 წამში მოუპოვებიათ პირველობა.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაზე მსაჯებად რაიონის გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლები მიუწვევიათ.



# ახალციხეში ჭიდაობას ყურადღებას არ აკლებენ

ახალციხეში, სასაზღვრო ჯარების სპორტულ დარბაზში ჩატარდა რაიონის მოსწავლეთა პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. იასპარეზეს ახალციხის, ვალეს, სოფლების არალის, ზიკილიის, წნისის გუნდებმა. ხალიჩაზე გამოვიდა 90 ნორჩი მოჭიდავე. გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. **20 კგ:** 1. ლერი თუმანიშვილი (არალი), 2. ბექა ლონდარიძე (ახალც), 3. იმედა ბახტურიძე (არალი); **23 კგ:** 1. ვალიკო კაკაჩიშვილი (ახალც), 2. გელა მაჭარაშვილი (არალი), 3. დემეტრე მანველიშვილი (ვალე); **26 კგ:** 1. ლერი კაჭკაჭიშვილი, 2. გოგა აფრიამაშვილი, 3. რატი ქომოშვილი (სამივე — არალი), 4. ნუკრი ნადიბაიძე (ახალც); **29 კგ:** 1. დათო თათეშვილი (არალი), 2. დიმიტრი მუმლაძე (ზიკილია), 3. გიორგი დიაკონაშვილი (ახალც); **32 კგ:** 1. კახა კუსიანი, 2. თორნიკე თათეშვილი, 3. ივანე აფრიამაშვილი (სამივე — არალი); **35 კგ:** 1. თემურ ფეიქრიშვილი, 2. სტეფანე კაჭკაჭიშვილი, 3. სოსო აფრიამაშვილი (სამივე — არალი); **38 კგ:** 1. დათო თელიაშვილი (ვალე), 2. გიორგი ბლიაძე (ზიკილია), 3. თორნიკე ნასყიდაშვილი (ვალე).

შეჯიბრების ორგანიზატორი იყო საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის სამცხე-ჯავახეთის ფილიალი. მხარდამჭერები — სასაზღვრო რაზმი და კოლეჯი. გამარჯვებულებს და პრიზიორებს ფასიანი საჩუქრებიც გადაეცათ.

ამას წინათ, ახალციხელებმა საგარეჯოში არსენ მეკოკიშვილის ხსოვნის ტურნირში იასპარეზეს. პირველობა მოიპოვა თემურ ცუცქირიძემ (29 კგ), მეორე პრიზიორები გახდნენ — ნუკრი ნადიბაიძე (23), სერგო ბათმანაშვილი (..9) და იაშა მიქელაძე (50), მესამე იყო ვანო გაჩეჩილაძე (73).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ურწმუნოთა ჯიბრზე ასფურცელასებრ გავიზარდეთ

**საქართველო 31 (13)**
**რუმინეთი 20 (3)**

ბუქარესტი, გეწის პარკი, სტაუას კლუბის მეორე მოედანი (2 ათასი მაყურებელი). შაბათი, 7 აპრილი, 13 საათი.

**საქართველო:** (15-9) ხამაშურიძე, ურჯუკაშვილი, ზიბზიბაძე, კაცაძე, აბაშიძე (ხეხელაშვილი); ჯიმშელაძე, აბუსერიძე; (1-8) მთიულიშვილი (ნიკოლაენკო), გიორგაძე (10-წუთიანი!), ცაბაძე კაპიტ. (რატიანიძე); ნადირაძე, დიდებულიძე (მჭედლიშვილი); ბოლღაშვილი, იაშვილი (ჯაველიძე), ზედგინიძე - სამი ლელო: აბუსერიძე (32), ბოლღაშვილი (66), ცაბაძე (72); ორი გარდასახვა: ჯიმშელაძე (32, 66); ოთხი საჯარიმო: ჯიმშელაძე (24, 40, 61), ურჯუკაშვილი (79).

**რუმინეთი:** (15-9) მაფტეი (ვიორიანუ), გიოკი, ოპრია, გონტინიაკი, ბრეზოიანუ; ჩოლაკუ, სირბუ (პოდია); (1-8) დიმა, დემიჩი (ბელანი), პოპესკუ (ტოდერეშკი); სოკოლი, ტონიცე; იაკობი, მანტა კაპიტ. (დრაგომირი), კოროდიანუ - სამი ლელო: გიოკი (49), კოროდიანუ (54, 77); გარდასახვა: ჩოლაკუ (77); არეკნი: გონტინიაკი (3).

***მსაჯი*** დარტიეაზი (საფრანგეთი).

***ანგარიში*** (ჯერ ჩვენი): 0-3, 3-3, 10-3, 13-3 (შესვენება); 13-8; 13-13; 16-13; 23-13; 28-13; 28-20; 31-20

***საქართველოს რაგბის ნაკრებმა შაბათს სტუმრად გადამწყვეტი შებმა უსიტყვოდ, 11 ქულით მოუგო რუმინეთს, 2001 წლის „ევროპის ერთა თასის“ მფლობელი შეიქნა და ელიტარული ექვსი ერის კვალად, ევროპაში ოფიციალურად დაფუძნდა VII ადგილზე***



***04-07 ბუქარესტი. რუმინეთი — საქართველო 20:31.***
*ხუთ თამაშში ხუთი (!) გამარჯვება, მათგან სამი სტუმრად, და ორი ძირითად მეტოქეებზე!*

**მოპოვებულია უდიდესი, მრავალმხრივ მნიშვნელოვანი გამარჯვება და აი, რატომ:**

**პირველი.** ქართველობა ყველაფერში (არა მხოლოდ სპორტში) მარცხს მიეჩვია და საკუთარი თავის რწმენა გვარიანად შეერყა. და ჰა, როგორც იქნა გამოჩნდა ძალა, რომელმაც მარად ძნნე ერს კიდევ შეახსენა, თუ რა ძალგვიძს;

**მეორე.** მორაგბეებს ჩვენს საზოგადოებაში აქამდეც კარგი სახელი ჰქონდათ



დაგდებული, წლეულს მოპოვებული ზედიზედ ხუთი გამარჯვების შემდეგ კი დიდსა და პატარას პირზე რაგბი აკერია. ასე რომ, დაბადებიდან 40 წლის თავზე ქართული რაგბი ჭეშმარიტად ეროვნული თამაში გახდა;

**მესამე.** საერთაშორისო რაგბის მამებს აქამდე ჩვენი წარმატებები შემთხვევითობად მიაჩნდათ და ქართულ რაგბს საკადრის (მათ შორის, მატერიალურს) პატივს არ მიაგებდნენ. ახლა ეს მოღვაწეები იძულებული იქნებიან, ყველანაირი წყალობა ახლო აღმოსავლეთში რაგბის ფორპოსტისთვისაც გაიღონ;

**მეოთხე.** ვერარც ქვეყნის ხელისუფლება გააგრძელებს რაგბის იგნორირების იმ პოლიტიკას, წინარე რეჟიმისგან მემკვიდრეობით რომ მიიღო. თუმც ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ მთავრობამ რაგბის განვითარების პროგრამა დასახოს, ისიც ცხადია, რომ ამიერიდან ქართველ მორაგბეებს უბატონოდ ვეღარავინ მიმართავს და მათ შეძლებაც თანდათან გაეზრდებათ;

**და მეხუთე.** გაამართლა რაგბის კავშირის ახლანდელი ხელმძღვანელობის გენერალურმა კურსმა. თუ შეურიგებელ ოპოზიციას აქამდე რაღაც წვრილმანი მაინც ჰქონდა ხელჩასაჭიდი, ამიერიდან კრიტიკოსებიც კი ვეღარ უგულებელყოფენ ჩვენი რაგბის აშკარა წინსვლას, რაც გარკვეულწილად სარაგბო თემის ერთიანობასაც არგებს.

**ახლა ცოტა რამ ბუქარესტის მატჩის გამო**

ცხელოდა. ტემპერატურა 15 გრადუსი იყო. ჩვენები თავიდან პირქარში, შესვენების შემდეგ კი ზურგქარში თამაშობდნენ, მაგრამ ორივეჯერ ძაან იყოჩაღეს.

დასაწყისში მეტოქემ შემოგვიტია, მაგრამ ერთი არეკნი გაგვიტანა და სულ ეგ იყო. თანდათან ქართველებმა ავიღეთ ხელში თამაშის სადავეები და რუმინელები მეთოდურად მოვაშთეთ - გავიტანეთ ერთი გარდასახული ლელო და ორიც საჯარიმო, და კიდევ ერთი დარტყმა გაგვიცუდდა.

„მუხის ფოთლები“ „ბორჯღალოსანთა“ ასეთ პარპაშს არ ელოდნენ და რომ ვერაფერი მოგვიხერხეს თამამად მოთამაშე კავკასიელებს, აშკარა ჩხუბზე გადმოვიდნენ, მაგრამ ჩვენები ანკესს არ წამოგებიან და ძველებურად გააგრძელეს ბურთაობა.

და მაინც, მეორე ტაიმის პირველ ნახევარში მეტოქემ ახლოდან ორჯერ დაგვალელოვა და ანგარიში გაათანაბრა.

უწინ რაგბში, ახლა კი სპორტის სხვა სახეობაშიც, ვინძლო ქართველები ასეთ დროს არეულიყვნენ, მაგრამ „ბორჯღალოსნები“, პირიქით, კიდევ უფრო დაირაზმნენ და მატჩის კრიტიკულ მომენტში ზედიზედ მივითვალეთ 15 ქულა (ორი ლელო, გარდასახვა და საჯარიმო).

ამის მერე კარპატელებმა კიდევ გაიბრძოლეს, მაგრამ ბოლო ხუთი წუთი ქართველებმა თამაში მარჯვედ გადავიტანეთ მათს ნახევარზე და ყველანაირად დამსახურებული გამარჯვება ვიზეიმეთ.

გამარჯვებულსა და ჩემპიონ გუნდში, აბა, ვინ უნდა გამოვყოთ, მაგრამ მაინც სათქმელია ლევან ცაბაძისა და პალიკო ჯიმშელაძის გაუტეხლობის ამბავი.

ფრანგმა რეფერიმ შერკინების მაჯობას თავი რომ ვერ გაართვა, ევროპის ლამის უძლიერესმა ბურჯმა „ლეონსიომ“ მორიგი ჩაქცევის დროს კისრის ტრავმა მიიღო და დროებით შესაცვლელი შეიქნა, მაგრამ ბრძოლის ჟელი მაინც ვერ მიატოვა, მოედანს დაუბრუნდა და გადამწყვეტი ლელო ძალით გაიტანა.

იგივე ითქმის პალიკოზე. თამაშის ბოლოს, ეშხიანი სალელოო იერიშის დროს მეტოქე მას საზარლად, თამაშგარედან დაეჯახა და ნოკდაუნი აგემა, მაგრამ ვითომც არაფერიაო, პალიკომ მაინც გააგრძელა თამაში და ბოლო წუთზე არეკნით ძელსაც გაარტყა ბურთი.

**დასასრულ, მცირე ისტორიული ექსკურსი**

ნეტარმა საბჭოთა კავშირმა, საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის შემდეგ, ათი წელი მოანდომა რუმინეთის პირველად ძლევას და 15 წლის თავზელა გაიმარჯვა ბუქარესტში.

რუსთაგან განსხვავებით, საქართველო ასფურცელასავით იზარდა და იგივე გზა სულ რაღაც ექვს წელში გალია!

***საქართველო 2001 წლის «ევროპის ერთა თასზე»:***
***02-04 ამსტერდამი. ჰოლანდია — საქართველო 3:32.***
***02-17 თბილისი. საქართველო — პორტუგალია 36:12.***
***03-04 კრასნოდარი. რუსეთი — საქართველო 23:25.***
***03-17 რუსთავი. საქართველო — ესპანეთი 43:10.***

**„ბორჯღალოსანთა“ სამარადჟამო მონაგარი**: 42 თამაში (შინ 13, გარეთ 23, ნეიტრალურზე 6); 28 გამარჯვება - 13 მარცხი, 1 ფრე. ბურთები 930-760, ლელოები 112-86

**„ბორჯღალოსანთა“ სამსოფლიოთასო პერსპექტივა.**

კვირას გასამართი ორი მატჩის გაუთვალისწინებლადაც ცხადია, რომ „ერთა თასზე“ წლეულს გუნდები ადგილებს ასე გაინაწილებენ:

**1 საქართველო**
**2 რუმინეთი**
**3 რუსეთი**
**4 ესპანეთი**
**5 პორტუგალია**
**6 პოლანდია**

**გაისად,** გაზაფხულზე, „ერთა თასი“ ხელახლა გათამაშდება. „ბორჯღალოსნები“ შინ სამჯერ ითამაშებენ, გარეთ მხოლოდ ორჯერ, თანაც ორივე ძირითად კონკურენტს (რუმინეთი, რუსეთი) თბილისში ერაგბებიან.

ამდენად, საფიქრებელია, რომ „ბორჯღალოსნები“ მოპოვებულ მოწინავე პოზიციას არ დათმობენ, და არც ორი წლის (იგივე ორი წრის) ჯამში შეიცვლება გუნდების განლაგებაში რამე.

ამდენად, რომ დადგება 2002 წლის შემოდგომა, ანუ V მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპი, ევროპაში სულ ბოლო, გადამწყვეტ სტადიაზე პულში შეჯიბრება ერთწრიანია! მსოფლიო თასზე ავტომატურად გადის ორი (!) უკეთესი, მესამე, მაჩანჩალა კი ებმება გლობალურ სანუგეშო ტურნირში, სადაც ფინალის კიდევ ორი საგზური გათამაშდება.

რაკი პულიდან ფინალში ორი გუნდი გადის, ჩვენთვის გადამწყვეტი იქნება ესპანეთთან შინ (!) თამაში, რაკი ესპანეთი „ექვს ერზე“ მოასპარეზე იტალიას ვერსად ვერაფერს დააკლებს.

ასე რომ, 2002 წლის ოქტომბერში საქართველო თუ თბილისში სძლევს ესპანეთს, იტალიასთან სტუმრად თამაშის მიუხედავად, პირდაპირ გავა V მსოფლიო თასზე, რომელიც 2003 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში გაიმართება.

**ზაალ ბიბინეიშვილი**

***რედაქციისაგან: მატჩზე დასასწრებლად ბუქარესტში იმ დღეს საგანგებოდ ჩაფრინდა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი.***



**ქართული ფეხბურთი**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი**

**საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში — II ტური, მეორე ეტაპი**

# ფეხი დაუცდათ...

მეორე ეტაპის მეორე ტურში, უმაღლეს ლიგაში, საინტერესო შეხვედრები დაფიქსირდა. დავიწყოთ პირველი ექვსეულით.

კვირას, ზზობის დღეს, სამივე ლიდერი გასვლით მატჩს მართავდა. თუ „დინამო" დამარცხდეს, უხეშობის ზღვარზე მიმდინარე შეხვედრაში „მერანთან" ქოდლში ერთი ქულის აღება შეძლო, დარჩენილ ორ შეხვედრაში მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო. ჩემპიონი მესტიაში იტალიელი ჯანი კარნეველის დამოძღვრილ „ვიტ ჯორჯიასთან" ლიდი ანგარიშით დამარცხდა. „ტორპედო" ცენტრის განმახორცელის 0-3 პიროვანდა ფაგი. პირველ ეტაპზე ამ გუნდების ორივე შეხვედრა ფრედ დასრულდა. „ტორპედო" ვერც ამჟერად გაუმკლავდა ვიტელებს და დამარცხდა კიდეც. გუნდში არსებული ვითარება ანალოგს მოითხოვს. თითქოს უსდეროს შემადგენლობაც არ უნდა უქირდეს ისე, როგორც ეს ახლაა. ქუთაისელები ქულას ქულაზე კარგავენ, მაშინ, როცა პირიქით უნდა იყოს. გუნდმა ამ ეტაპზე ჩატარებულ ორ შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა, ოთხი კი გაუშვა. თითო ფრე და წაგება, შედეგად მეორე საფეხური დაიმო და მლევრებს დაწევის საშუალება მისცა. „ვიტ ჯორჯიამ", როგორც ჩანს ფოთში განცდილი სტრესი მოიხსნა და „ტორპედოზე" იყარა ჯავრი. ფეხბურთელებმა ახალდანიშნულ მწვრთნელს, საქართველოში დაბრუნებულ კარნეველს თავი მოაწონეს და მელქაძის ჰეთტრიკით „ტორპედოს" მოუგეს. ჩინებულად თამაშობს მატჩ ფოთის „კოლხეთი". გუნდმა ორივე მატჩი მოიგო და სატურნირო მდგომარეობა მკვეთრად გაიუმჯობესა. თბილისის „დინამომ" და „მერანმა" თავიანთი ყელები მხოლოდ 2-2 ქულით შეივსეს. მაგრამ თუ „დინამოს" „სინათლეზე" მოპოვებული ქულით მეორე ადგილზე ანაცვლა, „მერანი" კვლავ მეექვსეა, თუმცა უბრძოლველად არაფერს დათმობს და შეახსოვს, რომ არავის გაუწყეს, ნათელია.

ნაკლები სიმქივროვე და დაძაბულობა არც ქვევითაა. მეორე ეტაპზე ექსცეცური ლეგოთა მაქსიმუმით თსუ ლიდერობს. სტუდენტებმა კარგად გამოიყენეს „საკუთარი კედლები" და პირველ ტურში დამარცხებულე „იბერიას" ახლა „დილაც" ზედ მიაყოლეს. საინტერესო იყო თუ რა შედეგს აჩვენებდნენ შერისხული „გორდა" და „სიონი". რუსთაველებმა ბათუმში „დინამოს" მოუგეს ერთი ბურთის სხვაობით, „სიონმა" კი „იბერიასთან" ფრედ ითამაშა.

მიღიანობაში, ეროვნულ ჩემპიონატში ისეთი ვითარებაა, რომ ყოველ ტურს შეუძლია ნებისმიერი გუნდის სატურნირო მდგომარეობა უარესობისკენ, ან, სასიკეთოდ მკვეთრად შეცვალოს. მესამე ტური შორს არაა, იგი ხვალ დაიწყება.

**მიხეილ საბახტარაშვილი**



მერანი-91 — დინამო (თბ.). შეტევაზეა მერანელი იოსებ დევიძე

## ტექნიკური შედეგები

**მერანი-91 — დინამო (თბ.) 0-0**

**მერანი:** ნაჭყებია, ჭინჭარაული, კვაცასკირი, დავითიძე, ცქიფურიშვილი, ბაჯელიძე (ბუჯაძე, 77), ჩხაიძე, დევიძე, მუხინი, გოდერძიშვილი (ჭადაგიძე, 88), მინაშვილი (ხუციშვილი, 69).

**დინამო:** ქრიშჯაშვილი, სვანძე, შაშიაშვილი, კანდელაკი, მაზიაშვილი, გაბიდაური, იაგორაშვილი, აფციაური, მიქაძე (თუთარაშვილი, 69), მაკუჩაძე (ქარდავა, 83), ბურდული.

**გააფრთხილეს:** მუხინი (21), იაგორაშვილი (30), ჩხაიძე (36), სვანძე (63).

**გაძევეს:** მუხინი (78), იაგორაშვილი (79)

**მსაჯი:** სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

**თსუ — დილა 2-0**

**თსუ:** მამარდაშვილი, ხარებავა, ებრალიძე, ბერიანიძე, არეშიძე, ზ. გვაზავა (ზ. ლაბაძე 68), ზ. მეტრეველი (მოშიაშვილი 84), კ. ახალაძე (დათუნაშვილი 79), მესხი, მერებაშვილი, ბ. ნოზაძე.

**დილა:** სოლოღაშვილი, აკოფიანი, გოგიაშვილი (ლ. გოგაშვილი 54), გაგნიძე, ხაჭაპურიძე, რევაზიშვილი (ცხოშვილი 60), ფეზუაშვილი, გ. ჩიტაია, მ. თაყაძე, საყვარელიძე (ბოკერია 63), ხოხუაშვილი.

**გოლები:** 1-0 ზ. მეტრეველი (61), 2-0 მერებაშვილი (81).

**გააფრთხილეს:** მ. მესხი (25), საყვარელიძე (25), მ. თაყაძე (64), ზ. მეტრეველი (70), მერებაშვილი (79), ზ. ლაბაძე (86).

**მსაჯი:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**კოლხეთი 1913 — ლოკომოტივი 2-0**

**კოლხეთი:** ქვახაძია, გოროზია, შალამბერიძე, წიჭურაძე, ქობულაძე, ღლონტი, მუქლაძე (შავგულიძე 89), ხუჭუა (ჭანტურიძე 81), ქ. გვასალია, ფანჩულიძე, კვირკველია.

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალიშვილი, შალია, სალუქვაძე, ზ. ლაცაბიძე (ბარამიძე 75), გოლაური, ბაქრაძე (დათეშიძე 21), ჰოქეაშვილი, კაიდარაშვილი (გ. შენგელია 46), გოგიჩაიშვილი, ანჩაბაძე.

**გოლები:** 1-0 შალამბერიძე (20), 2-0 ხუჭუა (65).

**გააფრთხილეს:** გოროზია (70),

**მსაჯი:** ა. შილაკაძე (თბილისი).

**დინამო (ბთ) — გორდა 0-1**

**დინამო:** ბალაძე, მახარაძე, მინდაძე, გველესიანი, მეჟავანაძე, გელა ქორიძე (ჩიჩუა 46), ღლონტი, რომანაძე (დარჩიძე 46), მაჭუტაძე, ტუღუში, აფხაზავა (ყულეჯიშვილი 73).

**გორდა:** ბედიაშვილი, კედელაშვილი, ბურნაძე, გელაძე, ბერიძე, ბექაური, თ. მეტრეველი (მელაძე 32), ჯელაძე (კიტეიშვილი 84), ჯუღელი, გ. მიქაძე, კ. ალადაშვილი.

**გოლი:** 0-1 ჯუღელი (62).

**გააფრთხილეს:** მელაძე (68), ტუღუში (70), ბურნაძე 78, ჯუღელი (86).

**მსაჯი:** კრიჭაშვილი (თბილისი)

**იბერია — სიონი 2-2**

**იბერია:** ცინაძე, ამისულაშვილი, ნინუა, მიქელთაძე, ყურაშვილი (ქვანია 54), ჩაჩუა, გ. ნოზაძე, გულორდავა, ლაშა ხმალაძე, ა. კაკაშვილი (კვიციანი 81), ჭიაბრიშვილი.

**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, სიდამონიძე, ირემაშვილი, მინდიაშვილი, ამბიძე, ბარნოვი, მოსეშვილი, ბ. შენგელია (კ. მეტრეველი 57), ისიანი (დავითაშვილი 57), გაბისონია.

**გოლები:** 0-1 ამბიძე (37), 1-1, 2-1 კაკაშვილი (48,56), 2-2, გაბისონია (69).

**გააფრთხილეს:** ნინუა (7), ამისულაშვილი (60).

**მსაჯი:** ა. მუშკიეი (თბილისი)

**ვიტ ჯორჯია — ტორპედო 3-0**

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, თ. კობიაშვილი, ჭანკარაძე, იაშვილი, დოლიძე, ფეზუაშვილი, ჭ. მეურიძე, ჭინჭარაშვილი, ბორიცი (კვირიძე 78), ლაშა ნოზაძე, გორგიძე (სულთანიშვილი 84), მელქაძე (დოლიძე 81).

**ტორპედო:** ზოიძე, ჭავაძე (ხუტიანი 46), ქემოკლიძე, აბრამიძე, მახვილაძე (ბობოხიძე 25), დიდავა, კვეტენაძე (გონჩაროვი 36), გუჩუა, იონანიძე, ჯინჭარაძე, დ. ჯანაშია.

**გოლები:** 0, 2-0, 3-0 მელქაძე (6,32, 83).

**გააფრთხილეს:** გოგობერიშვილი (42), ყიფიანი (51).

**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

**8 აპრილი**

**I – VI ადგილები**

| | |
|---|---|
| მერანი-91 – დინამო (თბ) | 0-0 |
| ვიტ ჯორჯია – ტორპედო | 3-0 |
| კოლხეთი 1913 – ლოკომოტ. | 2-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 29 |
| დინამო (თბ) | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 26 |
| ტორპედო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 25 |
| კოლხ.-1913 | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 22 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 22 |
| მერანი-91 | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 18 |

**VII – XII ადგილები**

**7 აპრილი**

| | |
|---|---|
| იბერია – სიონი | 2-2 |
| თსუ – დილა | 2-0 |
| დინამო (ბთ) – გორდა | 0-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 16 |
| დინამო (ბთ.) | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 15 |
| გორდა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 12 |
| სიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 11 |
| დილა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 10 |
| იბერია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 3 |

*„სიონს" დაკლებული აქვს 3 ქულა.*

# კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი...

ალგეთში ძირძველ ქართულ მიწაზე სამად-სამი ქართული სოფელია — წერეთელი, ორჯონიკიძე და თამარისი. ჟამთა სიავემ ისე მოიტანა, რომ ეს კუთხე ქართველთაგან დაიცალა და ბოლო დრომდე ნაკლებად იგრძნობოდა, ეს ტერიტორია საქართველოს თუ ეკუთვნოდა. ბოლო წლებში აქ ქართველთა რაოდენობამ შესამჩნევად იმატა. თუკი ერთეულ გამოხდომებსა და პროვოკაციას არ მივიღებთ მხედველობაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ რეგიონში ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად და კეთილმეზობლურად იღვწიან ქართველები და აზერბაიჯანელები, სომხები და ბერძნები, რუსები და ასირიელები, სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

ფეხბურთია ის ფენომენი ახალგაზრდობას რომ აკავშირებს, ახლა ეს ფენომენი აქაურების ძმობისა და მეგობრობის სამსახურში თვალნათლივ ჩადგა — მარნეულის რაიონში ბოლო წლებში მიძინებული სპორტის ეს სახეობა გამოღვიძებას იწყებს...

10 დღის წინ სოფელ წერეთელის სტადიონზე 30-მდე მოზარდს პირველი პროფესიული ვარჯიში ჩაუტარა ახალგაზრდა თბილისელმა მწვრთნელმა გოჩა ერაძემ. 7-დან 12 წლამდე პატარები ყურადღებით უსმენდნენ გოჩა მასწავლებელს და მათთვის ჯერჯერობით უცხო სიტყვებს იმახსოვრებდნენ...

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ წერეთლის მკვიდრმა, ძველმა ფეხბურთელმა რომან ტაბატაძემ თბილისში უნივერსიტეტის მეგობრებს ჩამოაკითხა: სოფელში უამრავი ბავშვი უთავბოლოდ დადის, მე არც დრო და არც ნერვები მაქვს სამაგათოდ, იქნება ვინმე მწვრთნელი გამომინახოთ და ეს საშვილიშვილო საქმე დამაწყებინოთო. მალხაზ კვარაცხელიამ 10 წლის უნახავი მეგობარი ჩაკოცნა და მართლაც ორიოდ კვირაში თავისნაირი გულანთებული მწვრთნელიც მოძებნა. 28 წლის გოჩა ერაძე ოთხ საათს აქეთ-იქით გზაში ხარჯავს, რათა პატარა მარნეულელების თვალებში მოკიაფე შუქი დაინახოს. უნდა ნახოთ, რა დღეში არიან პატარები — ისინი ფ.კ. „ალგეთი-2001"-ის პირველი მოწაფეები არიან...

სოფელი კაცითაო, უთქვამთ. ამ მხრივ წერეთლელებს გაუმართლათ, რომ საკრებულოს თავმჯდომარედ გურამ მუმლაძე აირჩიეს. გურამი და ზემოხსენებული რომან ტაბატაძის ძმა ვაჟა, აქაურობის, თუ შეიძლება ითქვას, პირველი ქართველები არიან. დიახ, ისინი აქ პირველნი დაიბადნენ იმერელთა ჩამოსახლებულ ოჯახებში, რაც ომისშემდგომ ორმოცდაათიან წლებში სტალინისა და ბერიას გეგმით განხორციელდა და ალგეთში ქართული სულის აღორძინებას დაუდო სათავე. წერეთელში და ორჯონიკიძეში რომ გაიაროთ, მართლა იმერეთში გეგონებათ თავი, ისე უქცევენ იქაურები...

**გურამ მუმლაძე:** ჩემი უმცროსი ვაჟიც აქ მოვიყვანე ფეხბურთზე და ყველა ღონეს ვიხმარ, სკოლას რომ არაფერი მოაკლდეს. მალხაზ კვარაცხელია და გოჩა ერაძე კი ჩემი

იხ. მე–5 გვ.




ზედა რიგში (მარცხნიდან მეორე) გოჩა მასწავლებელი და ალგეთის ლეკვები

## ანონსი. III ტური

**VII-XII ადგილები, 11 აპრილი**

დილა — იბერია: მთავარი მსაჯი ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).
გორდა — თსუ: მთავარი მსაჯი ა. შილაკაძე (თბილისი).
სიონი — დინამო (ბთ): მთავარი მსაჯი ზ. ანიაშვილი (გორი).

**I-VI ადგილები, 12 აპრილი**

ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია: მთავარი მსაჯი ა. შალამბერიძე (ქუთაისი).
დინამო (თბ) — კოლხეთი 1913: მთავარი მსაჯი დ. სანაია (სოხუმი).
ტორპედო — მერანი 91: მთავარი მსაჯი მ. მალაღურაძე (თბილისი).

სამეგრელოს რეგიონის ფეხბურთის ფედერაცია ულოცავს ფედერაციის პასუხისმგებელ მდივანს საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს ღირსების ორდენის კავალერს ***კარლო ხორავას*** დაბადებიდან 80 და სპორტში მოღვაწეობის 60 წლისთავს.

* * *

გაზეთ „ლელოს" და „ქართული ფეხბურთის" რედაქცია დაბადებიდან 80 და სპორტში მოღვაწეობის 60 წლისთავს ულოცავს ღვაწლმოსილ პიროვნებას ***კარლო ხორავას.***

# კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი...

(მე-4 გვერდიდან)

უფროსი შვილები გახდნენ. სწორედ ასეთი ბიჭები სჭირდება საქართველოს. მითხარით ერთი, რომელი თავმომწონე თბილისელი ბიჭი „იკადრებს" პროვინციაში სამუშაოდ ჩამოსვლას?

**რომან ტაბატაძე (ფ.კ. „ალგეთი 2001"-ის პრეზიდენტი):** ეს თბილისელი ბიჭები ძმებივით მიყვარს, მათი ამაგი მართლაც ფასდაუდებელია. მათ რომ ყველა პრობლემა მოვაცილო, დირექტორთა ოთხკაციანი საბჭო შევქმენი, რომელშიც ჩემი და ბატონი გურამის გარდა, ჩემი ძმა ვაჟა და შალვა კუპრაშვილი შედიან. ეს ხალხი თითით საჩვენებელია ამ რეგიონში და სკოლას მიხედავენ, არაფერს გაუჭირვებენ.

**შალვა კუპრაშვილი:** პირველი ვარჯიში პირველ აპრილს ჩატარდა. წვიმდა და ვიფიქრე, ეს ქალაქელები რა ბიჭებიც არიან ახლა გამოჩნდებამეთქი. მეგონა, წვიმაში ვარჯიშს იუკადრისებენ. ესენი კი დადგნენ და ისე ზილეს ტალახი და ბავშვებსაც ისე აზელინეს, თვალებში ცრემლი მომადგა, ბარაქალა ბიჭებო-მეთქი, გავიფიქრე...

პირველი ვარჯიშიდან ორ დღეში სკოლაში უკვე 50-ზე მეტი ბავშვი მოგროვდა. ვარჯიში ასე არ უნდაო და მეზობელი სოფლის, ორჯონიკიძის პატივცემული და დასაფასებელი ხალხი მოადგა ტაბატაძეთა ოჯახს: რომა ბატონო, რა დაგიშავეთ ჩვენ და ჩვენმა ბავშვებმა, განა ჩვენს პატარებს ვარჯიში აწყენთო? რომან ტაბატაძემ თავში ხელი შემოიკრა და მალხაზ კვარაცხელიას სთხოვა — იქნება ერთი მწვრთნელი კიდევ გამომიძებნოო...

თქვენ რომ ამ სტრიქონებს კითხულობთ, ორივე სოფელში უკვე სერიოზული ვარჯიშები ტარდება, „ალგეთი 2001" იზრდება, ძლიერდება და მალე საქართველოს ფეხბურთიის ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირებშიც ჩაებმება...

მალხაზ კვარაცხელიამ საქმეში თავისი უცხოელი მეგობრებიც ჩარია და უკვე მოწვევაც მიიღო ესპანეთიდან, ბასკური ქალაქ ვიტორიადან: ბასკები მარნეულელებს ივლისის დასაწყისში ცნობილ ტურნირზე — „გაზტეიზ ქაფ"-ზე უხმობენ, სადაც კიდევ 300 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

ზემოთ ინტერნაციონალიზმი ვახსენე: დიახ, სკოლაში უკვე ვარჯიშობენ ფივრატ და ასიფ ვალიევები, ემედ ქალაევი, ფაზილარ აშიროვი და ისინი მუმლაძეებთან, ტაბატაძეებთან, კაპანაძეებთან, ხარშილაძეებთან, ნადირაძეებთან, მაჭარაშვილებთან და სხვებთან ერთად ალგეთში ქართული ფეხბურთის პირველი მერცხლები არიან...

**ქ. მამუკელაშვილი,**
მარნეული

# რეგიონალური ლიგა

**სქური (წალენჯიხა) — ლაზიკა (ზუგდიდი) 1-2**

**სქური.** გეგეჭკორი, კვარაცხელია, ჯოლია, კვირკვია, როგავა, ჭანია, გიგიბერია, ჭეჟია, შონია, ჯოლოხავა, სამუშია.
**ლაზიკა.** ნაყოფია, ჭეჟია, ფიფია, გვაზავა, თოდუა, ჯოჯუა, მებონია, ჯაბუა, ქარჩავა, გ. თოდუა, ბაკარაძე.
***მსაჯი:*** პ. დოგრაშვილი.

სამი ათასამდე გულშემატკივარმა იხილა ლიდერთა საინტერესო და დაძაბული თამაში, რომელიც ორმხრივი იერიშებით დაიწყო, სახიფათო მომენტები იქმნებოდა ორივე კართან. ანგარიში მე-19 წუთზე ზუგდიდელებმა გახსნეს: ჯაბუას დარტყმული ბურთი ზედა ძელმა მოიგერია, რომელსაც დაეუფლა მებონია და 18-20 მეტრიდან დარტყმული ბურთი ამჯერად ზედა ძელის დახმარებით კარში გავიდა.

საპასუხო გოლი წალენჯიხელებმა 32-ე წუთზე გაიტანეს: გიგიბერია — ჭეჟიას კომბინაციას თავური დარტყმით ჯოლოხავამ ბურთს ზუგდიდელთა კარში მიუჩინა ადგილი. ამის შემდეგ დაძაბულობასთან ერთად იმატა უხეშობამაც. ტაიმის მიწურულს კვარაცხელიამ წითელი ბარათი დაიმსახურა.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე საკუთარ საჯარიმოში გვაზავამ უხეშად წააქცია ჯოლოხავა. 11-მეტრიანი თავად დაზარალებულმა შეასრულა, რომელიც ნაყოფიამ ნახტომში მოიგერია. ორიოდე წუთში საკუთარი საჯარიმოდან 60-65 მეტრის სოლორეიდი განახორციელა თ. თოდუამ, ბურთი გადააწოდა ბაკარაძეს, რომლის დარტყმულიც მეკარემ მოიგერია. დამატებაზე გ. თოდუამ იყოჩაღა და „ლაზიკა" დააწინაურა. ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ ბაკარაძეს, გვაზავას, ქარჩავას.

აღსანიშნავია ქარჩავას კარგი თამაში, რომელიც ყოფილი დინამოელის, ვეტერანი მანუჩარ მაჩაიძის თამაშს მოგვაგონებს. მისეული ბურთის თავისუფალი ფლობა და დაჭერა მოედნის შუახაზში ერთობ საჭირო და სანატრელია დღევანდელი ქართული ფეხბურთისათვის.

თამაშის 61-ე წუთზე წითელი ბარათი მებონიამ მიიღო, რის შემდგომ „სქურის" ფეხბურთელებს გაუჩნდათ მატჩის გადარჩენის იმედი. საგოლე მომენტები ჰქონდათ შონიას, ჯოლოხავას, სამუშიას მაგრამ მათი დარტყმები მოწოდების სიმაღლეზე მყოფმა ნაყოფიამ უპრობლემოდ მოიგერია. „ლაზიკამ" მორიგი 3 ქულა ჩაიწერა და თავად მოექცა გათამაშების ცხრილის სათავეში.

**ბელა ნაჭყებია,**
„ლელოს" კორ. სამეგრელოს რეგიონში

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## XXI საუკუნის ვარსკვლავები
# როცა მკითხავის წინასწარმეტყველება გამართლდა

მომავალი მეკარის დედა მოსამშობიარებლად ბილბაოდან მადრიდში მიფრინავდა. თვითმფრინავში მკითხავს გადაეყარა. მან კასილიასის დედას შვილის ბრწყინვალე სამეკარეო კარიერა უწინასწარმეტყველა. ვინ იფიქრებდა...

იკერ კასილიასი დაიბადა 1981 წლის 20 მაისს. მისი სიმაღლეა 185 სმ, წონა 70 კგ. 6 წლის ასაკიდან მოყოლებული, მამა ყოველ შაბათს დილის 6 საათზე აყენებდა, რათა მადრიდის მოსტოლესის საფეხბურთო სკოლაში წაეყვანა. თავისი ახლანდელი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე 11 წლის ასაკში გაიცნო. დელ ბოსკე მაშინ „რეალის" ახალგაზრდულ სკოლაში მუშაობდა, კასილიასი გამოიძახა და სასტიკად დატუქსა ამხანაგებთან ქედმაღლური მოპყრობისათვის. ადრე სისტემატურად მონაწილეობდა საფეხბურთო ტოტალიზატორში, მაგრამ 4 წლის წინათ სამუდამოდ მოეშვა ამ საქმეს, ძალიან ეწყინა, რომ ყველა შედეგი გამოიცნო, რის შედეგადაც მისი ოჯახი 11 მილიონ დოლარს მოიგებდა, მაგრამ...

...არასწორად შეავსო ბლანკი და საერთოდ არაფერი მიუღია. აქამდე არა ჰყავს საკუთარი მანქანა, დადის მამამისის „რენო-19"-ით, რომლის სპიდომეტრზე დაახლოებით 150 000 კილომეტრია. მეორე ცდით მიიღო მართვის უფლება, უკვე თითქმის ერთი წლის მანქანის ტარების გამოცდილება აქვს, არასოდეს გადაამეტებს ხოლმე საათში 80 კილომეტრს.

მისი ღირსება-ნაკლოვანებები ასეთია: უშეცდომოდ თამაშობს კარის ხაზზე, სწორედ ირჩევს პოზიციას, აქვს დიდებული რეაქცია. როცა მეტოქე მასთან პირისპირ გადის, პრაქტიკულად ყოველთვის სჯობნის მას. მშვენივრად თამაშობს ფეხით. ძალიან ხშირად იგერიებს 11-მეტრიან დარტყმებს.

როცა ფრთიდან აწოდებენ ბურთს ან კუთხურიდან ჰკიდებენ მას, თავს უხერხულად გრძნობს და შეცდომები მოსდის. ბურთის მიღებისას ზოგჯერ უზუსტოდ მოქმედებს, შეიძლება ხელიდან გაუვარდეს.

შეიძლება ითქვას, რომ იკერ კასილიასის დაწინაურებაში „რეალის" ძირითად შემადგენლობაში სხვადასხვა მომენტებმა ითამაშეს როლი. ჯერ იყო და ფრიად გამოცდილი გერმანელი მეკარე ბოდო ილგნერი წაეკიდა „რეალის" ხელმძღვანელობას, თავისი კონტრაქტის პირობების გაუმ-


იკერ კასილიასი

ჯობესება მოითხოვა. იმედი ჰქონდა, რომ ხელფასს გაუდიდებდნენ, მაგრამ არ დაუთმეს. ამასობაში მისი შემცვლელი, არგენტინელი ალბანო ბიზარი ძალიან სუსტად თამაშობდა და, რომ იტყვიან, მწვრთნელებს თმები ყალყზე უდგებოდათ. მათაც გაბედეს და კარი ნორჩ კასილიასს ანდეს. ჭაბუკმა ისე ბრწყინვალედ ითამაშა, რომ უკან დასაბრუნებელი გზა მოუჭრა ილგნერსაც და ბიზარისაც. ამასობაში „რეალს" ვისენტე დელ ბოსკე ჩაუდგა სათავეში, რომელიც სავსებით ენდო კასილიასს. იგი ნაკრების მწვრთნელ ანტონიო კამაჩოსაც მოეწონა, რომელიც ევროპის 2000 წლის ჩემპიონატისათვის ემზადებოდა. როცა ესპანეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ თავისი გუნდის განაცხადი წარადგინა, აქ მესამე მეკარე ანტონიო მოლინასა და სანტიაგო კანისარესის შემდეგ კასილიასი იყო. მას მანამდე ჰქონდა დებიუტი ნაკრებში (3 ივნისს შვედებთან 1-1. თუ „რეალის" ძირითად შემადგენლობაში დებიუტზე ვილაპარაკებთ, იგი 1999 წლის 12 სექტემბერს შედგა), სადაც დღემდე 8-ჯერ ითამაშა, მანამდე კი ქვეყნის ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრებებში 31 მატჩი ჩაატარა.

ევროპის პირველობაზე ნაკრების ძირითადი მეკარეები მოლინა და კანისარესი ისე თამაშობდნენ, უარესი არ შეიძლება. ამის შემდეგ კასილიასმა ერთიც შეავიწროვა და მეორეც. როცა „რეალმა" „ყოველი შემთხვევისათვის" „ვალიადოლიდიდან" გამოცდილი მეკარე სესარი გადმოიყვანა, კასილიასმა სულ მალე დაამტკიცა, რომ მასზე უკეთესადაც თამაშობდა. მაშ ასე, ახლა ახალგაზრდა გოლკიპერი პირველია ნაკრებშიც და „რეალშიც", მიმომხილველები ძალიან აქებენ, თუმცა მოუწოდებენ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად იზრუნოს. ცნობილი გახდა, თუ ვინმეს მისი ყიდვა სურს, 27,5 მილიონი დოლარი უნდა გადაიხადოს.

კასილიასი მადრიდში ისეთი პოპულარული გახდა, რომ ამ მხრივ მხოლოდ რაულს, იეროსა და ლუიშ ფიგუს თუ ჩამოუვარდება. ახლა მას არაერთი სარეკლამო წინადადება აქვს, მონაწილეობს ტელე და რადიოგადაცემებში, დებიუტი ჰქონდა როგორც ფეხბურთის კომენტატორს.

ერთი სიტყვით, სრულიად ახალგაზრდა კასილიასმა უკვე უამრავი რამ მოასწრო...

# იკერ კასილიასი - ჟურნალისტების საყვარელი მეკარე

19 წლის იკერ კასილიასს ჟურნალისტებისაგან მოსვენება არა აქვს, თუმცა ეს ხომ თავისთავად გასაგებია. აი ნაწყვეტები ერთ-ერთი უკანასკნელი ინტერვიუდან.

● ***იკერ, დღემდე 19 წლის ასაკში საერთოდ ვერავინ მოახერხა მადრიდის „რეალისა" და ესპანეთის ნაკრების ძირითადი მეკარე გამხდარიყო, როგორ გრძნობთ თავს ამ როლში?***

— პირველ ხანებში, როცა პირველი გუნდის ვარჯიშებში დავიწყე მონაწილეობა, მეშინოდა კიდეც რაულის, იეროს, სანჩისის — „რეალის" ამ ნამდვილი სიმბოლოების გვერდით ყოფნა. იმის თქმაც კი ზედმეტია, რომ მაშინ ნაკრების მხოლოდ ტელევიზიით და გაზეთებით თუ ვადევნებდი თვალს. ახლა უკვე შევეჩვიე ჩემს მდგომარეობას, თუმცა ზოგჯერ ეჭვიც კი მეპარება, რეალობაა თუ არა ყოველივე ეს.

● ***რატომ გადაწყვიტეთ თქვენი ცხოვრება მაინცდამაინც ფეხბურთისათვის მიგეძღვნათ?***

— დავიბადე თუ არა, ჩემს ოჯახში მხოლოდ იმაზე ლაპარაკობდნენ, რომ მე მაინცდამაინც ფეხბურთელი უნდა გამოვსულიყავი. მამაჩემი თამაშობდა ფეხბურთს სამოყვარულო დონეზე, სიზმარშიც კი მადრიდის „რეალის" შემადგენლობაში მხედავდა. მისი იმედები კი გავამართლე, მაგრამ მეკარის როლის შესრულება ვამჯობინე.

● ***რა გახდა ამის მიზეზი?***

— შეიძლება უცნაურადაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ მე ბავშვობიდან მიყვარდა ნახტომით დაბლა ლამაზად დაცემა. თუკი იმავე დროს ბურთის მოგერიებასაც მოვახერხებდი, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

● ***თანამედროვე მეკარეებიდან ვინ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი გავლენა?***

— ჯანლუიჯი ბუფონმა. მე ისეთი მეკარეები მომწონს, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, საიმედოდ, საკუთარ ძალებში დარწმუნებულად თამაშობენ, ზედმეტი ილეთების გარეშე. თუ ადრინდელ ჩემს კერპებზე ვილაპარაკებთ, მაშინ პირველ რიგში დანიელ პეტერ შმაიხელს დავასახელებდი.

● ***დღევანდელი მინდვრის მოთამაშეებიდან რომლებს ანიჭებთ უპირატესობას?***

— ყველაზე უკეთეს ესპანელ ფეხბურთელად ადრეც ვთვლიდი და ახლაც მივიჩნევ რაულს. უცხოელებიდან ყველაზე მეტად ფიგუ მომწონდა, მაშინაც კი, როცა „ბარსელონაში" თამაშობდა.

● ***თქვენ „რეალის" ძირითად შემადგენლობაში ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე ხართ. ხომ არ მოქმედებს ეს გარემოება სხვა მოთამაშეებთან ურთიერთობაზე?***

— არ მინდა ვთქვა, რომ თავს ყველასთან თანაბრად ვგრძნობ. რა თქმა უნდა, დიდად ვცემ პატივს იმ მოთამაშეებს, „რეალი" რომ ასახელეს, მაშინ, როცა მე ყმაწვილების შემადგენლობაში გამოვდიოდი. ამავე დროს ვცდილობ თავი ღირსეულად დავიჭირო. ყოველ შემთხვევაში მე არ მივათრევ ბადეს ბურთებით მინდორზე ვარჯიშის წინ და მის შემდეგაც.

● ***მეკარეს ხშირად უხდება თავისი მცველებისადმი აწეული ტონით მიმართვა. როგორი რეაქცია აქვთ თქვენს ასეთ შეყვირებაზე კლუბის ისეთ ვეტერანებს, როგორიც ფერნანდო იერო და მანოლო სანჩესი არიან?***

— სრულიად ნორმალური რეაქცია აქვთ, მათ ხომ იციან, რომ ეს ჩემი სამუშაოს ნაწილია. როცა მინდორზე გამოვდივართ, იქ არავინ არის „ვეტერანო", არც „კანტერანო" (პირობითად, მეორე შემადგენლობის მოთამაშე — *რედ.*). არავინ ფიქრობს, რომ, ვთქვათ, ეს არის იერო, ეს რაული, ეს კი კასილიასი. მატჩის დროს მინდორზეა გუნდი, არავინ იხსენებს მოთამაშეთა ასაკს, ყველამ მშვენივრად იცის, რომ თუ მე ვყვირი, ამით მინდა რაიმე ვუკარნახო და არა ვინმეს ვაწყენინო. მართალია, პირველ ხანებში მე, რა თქმა უნდა, უხერხულ გრძნობასაც განვიცდიდი, განსაკუთრებით მაშინ, როცა შემდეგ ამ მატჩებს ტელევიზიით ვნახულობდი, ჩემს მოქმედებას ვაანალიზებდი.

● ***იმის გამო, რომ „რეალის" ყოფილი შტატიანი პენალტისტი ყოველთვის ვერ ახერხებს ამ დარტყმების წარმატებით რეალიზებას, ხომ არ დაგებადათ აზრი მიგებაძათ ხოსე რაულ ჩილავერტისათვის და გამხდარიყავით მეკარე-ბომბარდირი?***

— არა, ეს ჩემი საქმე არ არის. მართალია, მე ხანდახან ვურტყამ კარში, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი კოლეგა-მეკარეები ვავარჯიშო. იმაზე კი არასოდეს ვფიქრობ, რომ ეს თამაშის დროს გავაკეთო. შეიძლება პენალტი რაულისა და იეროს ნაცვლად სხვამაც დაარტყას. უკანასკნელ ხანებში ამას ფიგუს ანდობენ და იგი მშვენივრად ასრულებს ამ როლს. რა თქმა უნდა, მე ვაღიარებ ჩილავერტის სნაიპერულ ღირსებებს, მაგრამ მისი თამაშის ასეთი მხარე სულაც არ მიზიდავს. ყველამ თავისი საქმე უნდა გააკეთოს.

● ***რა არის თქვენი, როგორც მეკარის უძლიერესი მხარე?***

— მე ყოველთვის ვცდილობ არ დავკარგო წონასწორობა, ჩემს ყველაზე კარგ თვისებად კი შრომისუნარიანობას ვთვლი. სწორედ ამან მომცა იმის მიღწევის საშუალება, რაც აქამდე მქონდა, იგივე კიდევ უფრო მეტს მიმაღწევინებს.

● ***როგორც ეტყობა, თქვენ უკვე ალარავისი გეშინიათ, მუხლები არ გიკანკალებთ.***

— მას შემდეგ, რაც ჩემს ცხოვრებაში პირველად ვითამაშე „ბარსელონას" წინააღმდეგ „ნოუ კამპზე", ისე მგონია, რომ ასეთ მტრულ შეხვედრას უკვე ვეღარსად ვნახავ. ახლა ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია, რომელ კლუბთან თამაშობს „რეალი", თუმცა, რა თქმა უნდა, ტრიბუნების ზემოქმედების ძალა უდავოა.

